



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამა
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

5–6 ივლისი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
5 აგვისტო

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფარმაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფარმაცია (0916)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240/245
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს №113 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ფანცულაია, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ჯავახია, სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

2019 წლის 14 მაისის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შპს – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია. თუმცა საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით 1 წლის განმავლობაში ჩატარებულიყო მონიტორინგი, რომლის ფარგლებში გადამოწმდებოდა ექსპერტებისა და საბჭოს წევრების რეკომენდაციების შესრულება.

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის მიზანია სწავლებისადმი განახლებული მიდგომა, რომელიც „გულისხმობს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დისციპლინებთან ერთად ახალი, თანამედროვე მოთხოვნებით განპირობებული ელემენტების ჩართვას, რაც განაპირობებს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს კვალიფიციურ ფარმაცევტებზე“.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული ვერსია დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2021 წლის 18 მარტს, აკადემიური საბჭოს დადგენილებით №01 (18 მარტი, 2021 წელი). პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240/245 კრედიტს. თანამედროვე ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად, მათთვის, ვისაც ინგლისურ ენაში ეროვნული გამოცდა ჩაბარებული არა აქვს, პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენისა სწავლებას 15 კრედიტს. შესაბამისად, ასეთი სტუდენტებისთვის პროგრამა ჯამში არა 240, არამედ 245 კრედიტიანი არის.

პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული სასწავლო კურსებისაგან და უზრუნველყოფს იმ კომპეტენციების გამოუმუშავებას, რაც გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებით. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსებისგან. კერძოდ: პროგრამის სავალდებულო კომპონენტების რაოდენობაა 187/192 კრედიტი, არჩევითი კომპონენტები - 53 კრედიტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი ექსპერტების მიერ განხორციელდა შერეული ფორმატით: 5 ივლისს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დათვალიერებული იყო ადგილზე ჯგუფის თავმჯდომარის ია ფანცულაიას მიერ; მეორე დღეს – 6 ივლისს ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით : ია ფანცულაია, მაკა ჯავახია ჩატარდა ონლაინ შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან, კანცლერთან, ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, მოწვეულ და აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქმულ რეკომენდაციები, ძირითადად, II, III და IV სტანდარტებს ეხებოდა. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა მიერ დამატებით შეფასებული იქნა I (სრულად) და V სტანდარტის 5.2 ქვესტანდარტი. მესამე სტანდარტის რეკომენდაცია მიემართებოდა მეორე სტანდარტსაც და გათვალისწინებული იქნა მეორე სტანდარტში.

ვიზიტის ბოლოს შემაჯამებელი შეხვედრაზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ ზოგადი შეხედულებები და ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
 - პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მესამე სტანდარტი – არ შეფასდა
 - მეოთხე სტანდარტი – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეხუთე სტანდარტი (შეფასდა მხოლოდ 5.2)– შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- **რეკომენდაციები**

წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია სრულად. კერძოდ:

- სილაბუსებში შეტანილია ცვლილებები და სწავლების მეთოდები გამრავალფეროვნებულია საგნის სპეციფიკის შესაბამისად;
- არჩევითი საგნებიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადმოტანილი იქნა „სოციალური ფარმაცია“, „კოსმეტოლოგიის საფუძვლები“ და „ფარმაცოთერაპია“.
- ფარმაციის პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის გასაზრდელად 2020 წლის დეკემბერში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში შეიქმნა „სიმსივნის საწინააღმდეგო ქიმიოპრეპარატების სინთეზის და კვლევის ცენტრი“, რომელსაც სრულად აფინანსებს უნივერსიტეტი.
- უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა შეიმუშავა ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის გაუმჯობესების მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს: პარტნიორ უნივერსიტეტებთან მოლაპარაკებებს; გაცვლით პროგრამებს სტუდენტებისთვის როგორც სწავლის, ასევე პრაქტიკის გავლის მიმართულებით; ახალი საერთაშორისო პარტნიორების მოზიდვას;
- აფილირებული პროფესორების აკადემიურ პერსონალის გაზრდის მიზნით, 2019 წლის მაისიდან მოყოლებული, 2021 წლის 15 აპრილის ჩათვლით, რამდენიმე კონკურსი ჩატარდა, რომლის შემდეგაც დამატებით აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნა 3 პროფესორი.
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით 2019 წლიდან გაუმჯობესდა სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიები და მოხდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მათი აღჭურვა (ბოტანიკისა და ფარმაცოგნოზის; ქიმიისა და ბიოქიმიის; მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის სასწავლო ლაბორატორიები და სხვა);
- 2020 წლიდან დღემდე პრაქტიკის ბაზებთან (შპს GDRS; შპს ალექსისი; შპს ეუბიოტიკები; შპს ჯი.პი.ი.ჯი; ჯორჯიან კორეან ფარმაცეუტიკალ კომპანი; შპს ნიუ ჯორჯია 555; შპს სანი) მოხდა ახალი მემორანდუმები გაფორმება.

გარდა ექსპერტების რეკომენდაციებისა, საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ფარგლებში მოხდა შემდეგი კორექტივების შეტანა: კერძოდ:

1. სასწავლო კურსის „ანალიზური ქიმია (თვისებითი ანალიზი)“ წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსით „ზოგადი და არაორგანული ქიმია“;

2. გასწორდა ტექნიკური უზუსტობა „ზოგადი და არაორგანული ქიმიის“ სილაბუსის, IV კვირის პრაქტიკულ მეცადინეობაზე „ხსნარის კონცენტრაციის განსაზღვრა არეომეტრით“;
3. ჩასწორდა „ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის“ სილაბუსი.

ახალი რეკომენდაციები არ არის.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

✓ სასურველია რიგ სასწავლო კურსის სილაბუსებში პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოს თემატიკის გამიჯვნა, მაგ.სამედიცინო ბიოქიმია (კერძო ნაწილი), სამედიცინო ბიოლოგია;

✓ სასურველია სპეციალობის არჩევითი საგნებიდან - ფარმაცევტული მარკეტინგი და ფარმაცევტული მენეჯმენტი გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების სიაში

✓ სასურველია, სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის გაწერისას მეტი დეტალიზება კურსის სპეციფიკაზე დაყრდნობით

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მიზნები გაწერილია კარგად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციებს შეიძენს კურსდამთავრებული პროგრამის ათვისების შემდეგ. კერძოდ მომზადდება ისეთი სპეციალისტები, რომელთაც გათვითცნობიერებული ექნებათ „ფარმაციის როლი ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკაში“ და რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები დაეფუძნება ფუნდამენტური და პროფილური ფარმაცევტული დისციპლინების საფუძვლიან ცოდნასა და პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთშერწყმას“.

პროგრამის მიზანი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ღირებულებებთან. ასევე მიზნის მისაღწევად შემუშავებულია „სწავლებისადმი კონცეპტუალურად განახლებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დისციპლინებთან ერთად ახალი, თანამედროვე მოთხოვნებით განპირობებული ელემენტების ჩართვას“.

ინტერვიუდან გაირკვა, რომ ახალი მიდგომა გულისხმობს სტუდენტებისათვის მაღალ დონეზე არა მარტო პრაქტიკაზე დაფუძნებული ცოდნის მიცემას, სადაც გათვალისწინებული იქნება სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევები, ტენდეციები, ტექნოლოგიური მიღწევები, არამედ საქართველოში არსებული ფარმაცევტული საკანონმდებლო ბაზის, რეგულაციებისა და სტანდარტების სწავლებას.

პროგრამის მიზნები სრულად ასახავს შრომის ბაზარზე არსებულ პრობლემებს და თანხვედრაშია საზოგადოების ინტერესებთან. პროგრამის მიზნები მისი შინაარსის გათვალისწინებით მიღწევადია.

პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდული გამოკითხვებითა და მიღებული შედეგების გაანალიზებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები,
- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის მაჩვენებლის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2021-2022 აკადემიური წლისთვის;
- ფარმაციის მოდიფიცირებული პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებ საიტი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის მიზანი სწავლებისადმი განახლებული მიდგომაა, რომელიც „გულისხმობს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დისციპლინებთან ერთად ახალი, თანამედროვე მოთხოვნებით განპირობებული ელემენტების ჩართვას, რაც განპირობებს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს კვალიფიციურ ფარმაცევტებზე“.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული ვერსია დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2021 წლის 18 მარტს, აკადემიური საბჭოს დადგენილებით # 01 (18 მარტი, 2021 წელი). პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240/245 კრედიტს.

პროგრამის კურიკულუმი წარმოდგენილია ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული სასწავლო კურსებისაგან, რომელთა ათვისების შედეგად მოხდება იმ კომპეტენციების გამომუშავება, რაც გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებით.

უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია არჩევითობის პრინციპი როგორც საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, სპეციალობის, ასევე თავისუფალი კრედიტების კომბინირების გზით.

„პროგრამის სავალდებულო კომპონენტების რაოდენობაა 187/192 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22/27 კრედიტი;
 - საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 12 კრედიტი;
 - სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები - 37 კრედიტი;
 - სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები – 116 კრედიტი;
- არჩევითი კომპონენტები - 53 კრედიტი. მათ შორის:**

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 3 კრედიტი;
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი;
- თავისუფალი კრედიტები-20 კრედიტი“.

თანამედროვე ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად, მათთვის, ვისაც ინგლისურ ენაში ეროვნული გამოცდა ჩაბარებული არა აქვს, პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის სწავლებას 15 კრედიტს. შესაბამისად, ასეთი სტუდენტებისთვის პროგრამა ჯამში არა 240, არამედ 245 კრედიტიანი არის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები უნივერსიტეტის მიერ იქნა მოდიფიცირებული და დღეისათვის აღწერილია 3 კომპეტენციით. ესენია: ცოდნა და გაცნობიერება: უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ასევე მოხდა ცვლილებების შეტანა სასწავლო კურსების სწავლის შედეგებზე.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად და გასაზომად გამოიყენება მედიცინის

<p>ფაკულტეტზე არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, „რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. სწავლის შედეგების შეფასება ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას“. ამ მიზნით შექმნილია დოკუმენტი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და ანალიზი“, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებელი კრიტერიუმები.</p> <p>კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ახორციელებს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მათ შორის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ყველა აქტიური სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და მიღებული შედეგების ანალიზს, სემესტრის დასრულებიდან, ერთი თვის ვადაში. მონაცემთა ანალიზის შედეგად ხდება საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა, სწავლის შედეგების გაუმჯობესება, სასწავლო პროცესში საჭირო ცვლილებების შეტანა და საბოლოოდ, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრების მომზადება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და ანალიზი; • ინტერვიუს შედეგები • ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p>

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p> <p>პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარე მობილობით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი</p>

საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა გამჭვირვალე, სამართალიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის

შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან და აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად; პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო;

პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია (8 სემესტრი) და მოიცავს 240 /245 კრედიტს. სავალდებულო კომპონენტები - 187/192 კრედიტი, არჩევითი კომპონენტები - 53 კრედიტი. სავალდებულო ასევე პრაქტიკის კომპონენტი: სააფთიაქო და საქარხნო ტექნოლოგიებში, შესაბამისად 5 და 10 კრედიტის მოცულობით. სავალდებულო ინგლისური ენის 10 კრედიტის მოცულობით სწავლება გათვალისწინებულია ისეთი სტუდენტებისთვის, რომლებსაც ინგლისურ ენაში ეროვნული გამოცდა აქვთ ჩაბარებული. მათთვის, ვისაც ინგლისურ ენაში ეროვნული გამოცდა ჩაბარებული არა აქვს, ინგლისური ენის სწავლება გათვალისწინებულია 3 სემესტრად, 15 კრედიტის მოცულობით. შესაბამისად, ასეთი სტუდენტებისთვის პროგრამა ჯამში არა 240, არამედ 245 კრედიტიანი იქნება. 1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს. წელიწადში სტუდენტის დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის ლოგიკურად და თანამიმდევრულად დალაგებული.

არჩევითობის პრინციპი უზრუნველყოფილია, როგორც საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, სპეციალობის, ასევე თავისუფალი კრედიტების კომბინირების გზით. საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერითი, სემინარი, დემონსტრირების, დისკუსია/დებატების, პრეზენტაციის, გონებრივი იერიშის და სხვა.

სასწავლო კურსები თავისუფალი კრედიტების სახით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მიმდინარე სემესტრში, უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი პროგრამიდან.

2019 წელს აკრედიტაციის საბჭოს წევრების მხრიდან გამოთქმული იყო რიგი მოსაზრებები ზოგიერთი საგნის სილაბუსთან დაკავშირებით, რაც სრულად გათვალისწინებულია შესაბამისი კურსის სილაბუსებში, მაგ: ა) თვისებითი ანალიზის დაშვების წინაპირობად განისაზღვრა „ზოგადი და არაორგანული ქიმია“; ბ) „ზოგადი და არაორგანული ქიმიის“ სილაბუსში მეოთხე სალექციო მასალის პრაქტიკულში დაშვებული იყო უზუსტობა რაც ჩასწორდა და „სნარის კონცენტრაციის დადგენა არეომეტრის ნაცვლად ჩაიწერა ხსნარის სიმკვრივის განსაზღვრა არეომეტრით; გ) გასწორდა ასევე „ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის“ სილაბუსი კერძოდ ცვლილება შეეხო დუბლირებულ საკითხებს

ზოგადი და არაორგანული ქიმიის სილაბუსთან; დ) ფარმაცევტული პროდუქციის სტანდარტიზაციის და ზარისხის კონტროლის სილაბუსში მითითებულია პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება ივეგმება კომპანია „GPEG“ -ის (Georgian Pharmaceutical Experts Group) ბაზაზე, სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ექსპერტიზის პროცესში.

რიგ სასწავლო კურსის სილაბუსებში სასურველია პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოს თემატიკის გამიჯვნა, მაგ სამედიცინო ბიოქიმია (კერძო ნაწილი), სამედიცინო ბიოლოგია.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია ღია და გამჭვირვალეა. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს პროგრამას, მის სტრუქტურას და დაშვების წინაპირობებს. აღნიშნული ინფორმაცია მითითებულია სილაბუსებში და სტუდენტები ეცნობიან პირველივე ლექციაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია რიგ სასწავლო კურსის სილაბუსებში პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოს თემატიკის გამიჯვნა, მაგ.სამედიცინო ბიოქიმია (კერძო ნაწილი), სამედიცინო ბიოლოგია

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე.

საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე; შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; პროგრამის განმახორციელებელი პირები ყოველთვის აცნობენ სტუდენტებს სილაბუსის შინაარსს.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცია „სპეციალობის არჩევითი საგნებიდან მაგ: კლინიკური ფარმაცია, სოციალური ფარმაცია, კოსმეტოლოგია, ბიოფარმაცია, ფარმაკოთერაპია გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების სიაში“ პროგრამის ხელმძღვანელის და შესაბამისი სასწავლო კურსების განმახორციელებელ პროფესორთა გადაწყვეტილებით „სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადატანილ იქნა მხოლოდ სოციალური ფარმაცია, კოსმეტოლოგიის საფუძვლები და ფარმაკოთერაპია. ხოლო თუ რატომ არ თვლიან მიზანშეწონილად კლინიკური ფარმაციის და ბიოფარმაციის გადმოტანას სავალდებულო საგნების მოდულში, მათ აქვთ თავიანთი ხედვა, რაც ინტერვიუს დროს შემდეგნაირად განმარტეს და დაასაბუთეს: „კლინიკური ფარმაციის სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ზოგიერთ საკითხს სტუდენტები გარკვეული სიღრმით ზოგადი და კერძო ფარმაკოლოგიის საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში გადიან. როგორც დღეს საქართველოში მოქმედი სამაგისტრო პროგრამებიდან ჩანს, კლინიკური ფარმაცია ისწავლება სამაგისტრო პროგრამებში, აქედან გამომდინარე, სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსად მისი სწავლება გამიზნულია იმ სტუდენტების ცოდნის გასაღრმავებლად, რომლებსაც სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება სურთ“.

„რაც შეეხება ბიოფარმაცია, ის არის დისციპლინა, რომელიც სწავლობს სხვადასხვა ფორმის სამკურნალო საშუალებების ტექნოლოგიების თეორიულ საფუძვლებს, აქტიური და დამხმარე ნივთიერებების ფიზიკო-ქიმიური თვისებებისა და ტექნოლოგიური პროცესების ზეგავლენას წამლის ხარისხზე, უსაფრთხოებასა და თერაპიულ ეფექტზე. ამ საკითხებს გარკვეული მოცულობით სტუდენტები სწავლობენ ფარმაცევტული ტექნოლოგიების (სააფთიაქო და საქარხნო, ბიოტექნოლოგია) სასწავლო კურსების ფარგლებში, როგორც თეორიული სწავლების, ასევე პრაქტიკის პერიოდში. აქედან გამომდინარე, მართებულად მივიჩნით ამ სასწავლო კურსის სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში დატოვება იმ სტუდენტებისთვის, ვისაც ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავების სურვილი ექნება“. მათი ეს გადაწყვეტილება სავსებით მისაღებია და უნდა აღინიშნოს, რომ 2019 აკრედიტაციის ექსპერტთა

რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის დასაქმების სფეროებში მითითებულია, რომ ფარმაციის ბაკალავრს შეუძლია შექმნას და მართოს საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესი, რისთვისაც, სასურველია სპეციალობის არჩევითი საგნებიდან - საგნები ფარმაცევტული მარკეტინგი და ფარმაცევტული მენეჯმენტი გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების სიაში.

სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სპეციალობის არჩევითი საგნებიდან - ფარმაცევტული მარკეტინგი და ფარმაცევტული მენეჯმენტი გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების სიაში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

2020 წლის დეკემბერში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში შეიქმნა „სიმსივნის საწინააღმდეგო ქიმიოპრეპარატების სინთეზის და კვლევის ცენტრი“, რომელშიც მედიცინის ფაკულტეტის პროფესორებისა და სტუდენტთა მონაწილეობით უმნიშვნელოვანესი კვლევები დაგეგმილი.

ასევე აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია და ფუნქციონირებს:

- ბოტანიკისა და ფარმაკოგნოზიის სასწავლო ლაბორატორია;
- თანამედროვე მულაჟებით აღჭურვილი ანატომიური სწავლების ორი კაბინეტი;
- თანამედროვე სტანდარტებითა და აპარატურით აღჭურვილი ქიმიისა და ბიოქიმიის ლაბორატორია;
- თანამედროვე სტანდარტებითა და აპარატურით აღჭურვილი მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის სასწავლო ლაბორატორიები;
- კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი - იმისათვის, რომ სტუდენტებს ქონდეთ შესაძლებლობა დაეუფლონ და განივითარონ ექიმისათვის მნიშვნელოვანი და პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო უნარები.

ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტის ლაბორატორიების და შესაბამისი აღჭურვილობის რიცხვის გაზრდა, პრაქტიკის ბაზებთან შეთანხმებების გაფორმება (შპს GDRS; შპს ალექსისი; შპს ეუბიოტიკები; შპს ჯი.პი.ი.ჯი; ჯორჯიან კორეან ფარმაცეუტიკალ კომპანი; შპს ნიუ ჯორჯია 555; შპს სანი) ხელს შეუწყობს არა მხოლოდ პროგრამის პროფესორთა კვლევითი აქტივობის გაძლიერებას, არამედ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცია სრულად არის გათვალისწინებული.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს და აფინანსებს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე, სემინარებზე, ტრენინგებზე დასწრებას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან ხდება წარჩინებული სტუდენტების წახალისება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიურება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში ჩართვის მაჩვენებლის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2021-2022 აკადემიური წლისთვის

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
